ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი
თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თ“
საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ა. კ., ადვოკატი ნ. ბ. /სიითი #..../
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.11.2018
საჩივრის რეგისტრაციის №164/18
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. თ.-ის მიმართ /სიითი #...././ სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. თ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს შპს „ჰ. ო. ჰ. ო. თ.-ს“ დირექტორმა ა. კ.-ს და აგრეთვე, კომპანიის წარმომადგენელმა ადვოკატმა ნ. ბ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ გ. თ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 18 იანვარს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს“ დირექტორმა ა. კ.-მ. საჩივრის მიხედვით, შპს შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თ“ იყო პირველი ტურისტული კომპანია საქართველოში, რომელიც სთავაზობდა მომხმარებელს ტურისტულ ექსკურსიებს.

1.2 2013 წელს აღნიშნულმა შპს-მ საქპატენტში დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი - „ჰ. ო. ჰ. ო. თ.” და მოგვიანებით, “C. S.”. საქპატენტში პირველი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან, დაახლოებით რვა თვეში ტურისტულ ბაზარზე გამოჩნდა კომპანია „ე.ი.ე.“, რომელიც ასევე ახორციელებდა ტურისტულ ექსკურსიებს. შპს „ე.ი.ე.“ იყენებდა საჩივრის ავტორის მიერ საქპატენტში სარეგისტრაციოდ წარდგენილ “C. S.”-ს, როგორც საფირმო სახელწოდებას და როგორც სასაქონლო ნიშანს, ასევე, იყენებდა საჩივრის ავტორის კუთვნილ მეორე სასაქონლო ნიშანსაც „ჰ. ო. ჰ. ო. თ.”-ს ტურისტული საქმიანობისათვის.

1.3 შპს „ჰ. ო. ჰ. ო. თ.ს“ დირექტორის განმარტებით, მას ხელი ეშლებოდა საქმიანობაში და სურდა აეკრძალა შპს „ე.ი.ე.“-სთვის მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნების გამოყენება, ამიტომ მან

დახმარებისათვს მიმართა პატენტრწმუნებულს გ. ქ.-ს, რომელმაც ურჩია, რომ მისი უფლებების დაცვისთვის მიემართა ადვოკატ გ. თ.-ისთვის.

1.4 კომპანიის დირექტორის განმარტებით, მასსა და ადვოკატ გ. თ.-ს შორის პირველი კომუნიკაცია ტელეფონის მეშვეობით განხორციელდა 2014 წლის 24 მარტს. სატელეფონო კონსულტაცია დაახლოებით რვა წუთს გაგრძელდა. მან აუხსნა ადვოკატს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომ სურდა შპს „ე.ი.ე.“-სთვის აეკრძალა მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნის გამოყენება. ადვოკატმა მას განუმარტა დავის შესაძლო განვითარების რამდენიმე გზა, მათ შორის მორიგება, გამაფრთხილებელი წერილის გაგზავნა და სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის შესაძლებლობა. ა. კ.-ის განმარტებით, ადვოკატმა ტელეფონით დაურეკა მას და დაპირდა, რომ დეტალურ ინფორმაციას ელ-ფოსტაზე გაუგზავნიდა.

1.5 2014 წლის 24 მარტს ადვოკატმა გაუგზავნა ორგანიზაციის დირექტორს - ა. კ.-ს ელექტრონული შეტყობინება, სადაც მითითებული იყო სამართლებრივი ნაბიჯები და შესაბამისი საადვოკატო ხარჯები. 2015 წლის 25 მარტს კვლავ შედგა 14 წუთიანი სატელეფონო კომუნიკაცია ადვოკატ გ. თ.-სა და ა. კ.-ს შორის, რის შემდგომაც, კომპანიის დირექტორი მივიდა ადვოკატთან ოფისში.

1.6 ადვოკატმა გ. თ.-მ კომპანიის დირექტორს ა. კ.-ს გაუწია უფასო იურიდიული კონსულტაცია სასაქონლო ნიშნებზე - „C. S.”-ისა და “ჰ. ო. ჰ. ო. თ.”-ის უფლებების დაცვაზე და საქართველოს ტერიტორიაზე მესამე პირებისათვის აღნიშნული ნიშნების გამოყენების აკრძალვის სამართლებრივ მექანიზმებზე. ადვოკატმა გ. თ.-მ შეამოწმა მის მიერ საქპატენტში დარეგისტრირებული სასაქოლო ნიშნები ბაზაში და უთხრა, რომ პირველი სასაქონლო ნიშანი „ჰ. ო. ჰ. ო. თ.” მხოლოდ მის სახელზე იყო რეგისტრირებული საქართველოში, ხოლო მეორე სასაქონლო ნიშანი „C. S.” არ ფიქსირდებოდა არც საქართველოში და არც ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომელზეც საქპატენტში რეგისტრაციის პროცედურა ჯერ დასრულებული არ იყო. ადვოკატმა კომპანიის დირექტორს განუმარტა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პირველ სასაქონლო ნიშანზე უფლებების დაცვა სასამართლო წესით, ხოლო მეორე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დასრულებას უნდა დალოდებოდნენ. ა. კ.-მ დროებით გადაიფიქრა სასამართლოში სარჩელის შეტანა ფინანსური საკითხებს გამო და ასევე, გადაწყვიტა დალოდებდა მეორე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დასრულებას.

1.7 2014 წლის 29 ოქტომბერს დასრულდა მეორე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაც. 2014 წლის 13 ნოემბერს ა. კ.-მ მიმართა ადვოკატ გ. თ.-ს, რა დროსაც, მათ შორის შედგა სამწუთიანი სატელეფონო კონსულტაცია. ა. კ.-მ ადვოკატს სთხოვა დახმარება მეორე სასაქონლო ნიშნის უფლებების დაცვაზე სასამართლოში შპს „ე.ი.ე.“-სგან. საუბრისას მათ განიხილეს საქმის წარმოების პერსპექტივა და საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ კომპანიის დირექტორს ადვოკატისთვის ელ-ფოსტაზე უნდა გაეგზავნა რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე „C. S.”-ზე მოწმობა, ხოლო ადვოკატი მოგვიანებით, თავად დაუკავშირდებოდა მას. ა. კ.-მ გაუგზავნა ადვოკატ გ. თ.-ს ელ-ფოსტაზე სასაქონლო ნიშნის მოწმობა, მაგრამ ადვოკატი არც მეორე დღეს და არც შემდომ დღეებში აღარ დაკავშირებია მას. ა. კ.-მ ადვოკატს 2014 წლის 14 და 19 ნოემბერს გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მათ შორის მისწერა მისი უკმაყოფილების და ეჭვის შესახებ შემდეგი ტექსტი: „თუ თქვენ მუშაობთ ს. ს.-ზე, პირდაპირ გვითხარით. თავიდანვე უნდა გეთქვათ ამის შესახებ“.

1.8 კომპანიის დირექტორის განმარტებით, ადვოკატი გ. თ. მის წერილობით შეტყობინებებს არ პასუხობდა. ამის შემდეგ, თავად დაუკავშირდა ადვოკატი ა. კ.-ს, მოუბოდიშა და უთხრა, რომ

დროის უქონლობის გამო ვერ უკავშირდებოდა. კომპანიის დირექტორს არ მოეწონა ადვოკატის ტონი მასთან საუბრისას. ასევე, ეჭვი ჰქონდა, რომ ადვოკატს კავშირი ჰქონდა "ს. ს. ლ."-თან, რომელიც იყო შპს „ე.ი.ე."-ს პარტნიორი კომპანია, ამიტომ მისი ნდობა აღარ ჰქონდა და შეწყვიტა მასთან კომუნიკაცია. კომპანიის დირექტორმა დაიქირავა სხვა ადვოკატი და შეიტანა სარჩელი სასამართლოში შპს „ე.ი.ე."-ის წინააღმდეგ.

1.9 კომპანიის დირექტორი ადვოკატ გ. თ.-ს ბოლოს შეხვდა 2018 წლის 22 ნოემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, რომელიც ეხებოდა შპს „ე.ი.ე."-ის პარტნიორი უცხოური კომპანიის „ს. ს. ლ."-ის მიერ აღძრულ სარჩელს შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს" წინააღმდეგ. შპს „ს. ს. ლ."-ის წარმომადგენელი იყო ადვოკატი გ. თ.. მოსარჩელე მოითხოვდა სასაქონლო ნიშნის "C. S." რეგისტრაციის ბათილად ცნობას. სარჩელში მიუთითებდა, რომ სასაქონლო ნიშნის "C. S."-ის მფლობელი თავად იყო და მისი ნებართვით აღნიშნულ ნიშნებს იყენებდა შპს „ე.ი.ე.".

1.10 კომპანიის დირექტორის გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ ადვოკატმა გ. თ.-მ თავად უთხრა მას კონსულტაციისას, რომ სასაქონლო ნიშანი "C. S." ბაზაში არ იყო რეგისტრირებული. სარჩელში კი მიუთითებდა, რომ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი შპს „ს. ს. ლ."-ის მფლობელობაში იყო და მისი გამოყენების აკრძალვას მოითხოვდა შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თსგან".

1.11 საჩივრის მიხედვით, ადვოკატმა გ. თ.-მ დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, ვინაიდან, წარმომადგენლად ჩაერთო საქმეში შპს „ს. ს. ლ."-ის სასარგებლოდ, რომელიც საჩივრის ავტორის მოდავე კომპანია იყო. კერძოდ, კომპანიის დირექტორის ა. კ.-ის მიერ შპს „ე.ი.ე.."-ის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი სასაქონლო ნიშნის „C. S."-ის უკანონო გამოყენების შეწყვეტისა და კომპენსაციის დაკისრების თაობაზე, ხოლო, ადვოკატი გ. თ. წარმოადგენს კომპანია „ს. ს. ლ."-ის ინტერესებს, რომელიც არის შპს „ე.ი.ე."-ის პარტნიორი. „ს. ს. ლ." ითხოვს „ჰ. ო. ჰ. ო.თ-ს" სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის - „C. S." ბათილად ცნობას. ზემოაღნიშნული ორივე საქმე ურთიერთდაკავშირებულია და მოთხოვნები წარმოშობილია „C. S."-ს რეგისტრაციიდან გამომდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 06 ნოემბერს მიღებული განჩინების საფუძველზე, საქმეზე #2/XXXX-18 საქმისწარმოება შეჩერებულია - საქმეზე #2/XXXXX-8 გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

1.12 შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს" წარმომადგენლის ნ. ბ.-ს განმარტებით, მართალია, ამ ეტაზე ადვოკატ გ. თ.-ს მისი ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამოუყენებია, მაგრამ ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ სამომავლოდ საფრთხე შეექმნება კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას. ადვოკატის განცხადებით, კონკრეტულად ა. კ.-ს არ ახსოვს დეტალურად რა ინფორმაცია მიაწოდა ადვოკატ გ. თ.-ს საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ მის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ნებისმიერ დროს შეიძლება იქნას გამოყენებული ადვოკატის მიერ ზემოაღნიშნულ დავაში წარმომადგენლად ჩართვის შემთხვევაში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. თ.-მ 2018 წლის 25 ნოემბერს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, 2019 წლის 11 იანვარს დამატებითი სახით წარმოადგინა განმარტება. 2019 წლის 19 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 2014 წლის ოქტომბრის თვეში ადვოკატ გ. თ.-ს მიმართა შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს“ დირექტორმა ა. კ.-მ. ადვოკატს კომპანიის დირექტორმა მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მან დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი საქპატენტში, ხოლო მესამე პირები იყენებდნენ მის სასაქონლო ნიშანს უკანონოდ. ადვოკატმა ა. კ.-ს განუმარტა, რომ მას იურიდიულ მომსახურეობას გაუწევდა, თუ დათანხმდებოდა მის მიერ გაგზავნილ ფინანსურ წინადადებას, მაგრამ კომპანიის დირექტორს მის შეთავაზებაზე პასუხი არ გაუცია, რის გამოც ადვოკატს მისთვის არავითარი კონსულტაცია არ გაუწევია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, „ს. ს. ლ.-ის“ წარმომადგენლობის გამო, ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა გამორიცხულია, ვინაიდან, იტერესთა კონფლიქტის არსებობისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ადვოკატს ორ დაპირისპირებულ მხარესთან აკავშირებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობა კი მას შპს „ჰ. ო. ჰ. ო. თ.-სთან“ არასოდეს ჰქონია.

2.4 ადვოკატი თავის ახსნა-განმარტებაში უარყოფს საჩივრის ავტორის პრეტენზიას, თითქოს მან კონფიდენციალობის პრინციპი დაარღვია. ადვოკატი განმარტავს, რომ მისთვის საჩივრის ავტორს არავითარი კონფიდენციალური იფორმაცია არ მიუწოდებია. მან საჩივრის ავტორისაგან მხოლოდ სასაქონლო ნიშნების არსებობის შესახებ შეიტყო, რაც საჯარო ინფორმაციაა და მასზე ყველას მიუწვდება ხელი. ამასთან, ა. კ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ მის სასაქონლო ნიშანვს უნებართვოდ იყენებდა შპს „ე.ი.ე“-სი. კერძოდ კომპანიის ავტობუსები, რომლებზეც დატანილი იყო მომჩივანის სასაქონლო ნიშანი, ღიად გადაადგილდებოდნენ ქალაქში, რაც არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივარში არ არის კონკრეტულად მითითებული, თუ რა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია მიიღო მან ა. კ.-სგან, მათ შორის სატელეფონო კომუნიკაციების დროს, კონკრეტულად რასთან დაკავშირებით ჰქონდათ საუბარი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. თ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი #...././ სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თ“-ის წარმომადგენელმა ნ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 20 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2014 წლიდან დღემდე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. თ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის მიხედვით, პრეტენზია ადვოკატ გ. თ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა იურიდიული კონსულტაცია გაუწია შპს „ჰ. ო. ჰ. ო. თ.-ს“ და შემდგომ, იმავე საქმესთან დაკავშირებულ საქმეზე სასამართლოში წარმოადგინა შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს“ მოწინააღმდეგე მხრის - შპს „ს. ს. ლ.-ის“ ინტერესები.

5.2 საჩივარში აღნიშნულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა გ. თ.-მ კონსულტაციის გაწევისას, კომპანია „ჰ. ო. ჰ. ო.თს“ დირექტორისგან მიიღო ისეთი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილია ადვოკატის ვალდებულება არ დაუშვას ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ: 2. „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით”.

5.3 ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე იმისა, რომ კლიენტის წარმომადგენლობაზე არსებით და საწინააღმდეგო გავლენას იქონიებს ადვოკატის პირადი ინტერესები ან მოვალეობები სხვა არსებულ კლიენტთა, ყოფილ კლიენტთა ან მესამე პირთა მიმართ.

5.4 ინტერესებში იგულისხმება ის სარგებელი ან უპირატესობა, რომლის მიღებაც ან დაცვა სურს პირს, რაც დაკავშირებულია პირად ან საქმიან ურთიერთობებთან, ფინანსურ ან ქონებრივ ინტერესებთან. ინტერესთა კონფლიქტი ისეთი შემთხვევაა, რაც ეწინააღმდეგება არსებული ან ყოფილი კლიენტების ინტერესებს ან აურესებს მათ მდგომარეობას. ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, როდესაც არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის ინტერესები იმის გამო, რომ სხვა პირთა მიმართ აქვს ვალდებულებები. ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მიზნად ისახავს, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები.

5.5 კომისიის განმარტებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება ადვოკატს ავალებს იზრუნოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხის შემოწმებაზე ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისგან ინფორმაციის მიღებამდე, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფუძველი ხდება ინფორმაცია, რომლის მატარებელიც ადვოკატია. კერძოდ, თუ ადვოკატი იღებს პოტენციური კლიენტისგან ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოს მისი

ინტერესების საწინააღმდეგოდ და სხვა მისი კლიენტის სასარგებლოდ, ადვოკატი იმყოფება ინტერესთა კონფლიქტის ქვეშ. შესაბამისად, შესაძლებელია სახეზე არ იყოს კლასიკური ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურებაზე და მათ შორის არ არსებობდეს ხელშეკრულება, თუმცა პოტენციური კლიენტის საქმეზე ინფორმაციის მიღებით ადვოკატს უკვე წარმოეშობა ეთიკური ვალდებულებები, კერძოდ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის თავიდან აცილების ვალდებულება.

5.6 ადვოკატის პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპს, რომლის თანახმად, კანონით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისების გარდა, ადვოკატი ვალდებულია არ გახადოს კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის, რაც არ არის შეზღუდული დროში.

5.7 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის 2.3-ე მუხლის პირველ პუნქტი ეხება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას: "ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანსასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა"

5.8 ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას. ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა." (ეთიკის კომისიის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №092/10).

5.9 მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ 2014 წლის ოქტომბრის თვეში ადვოკატ გ. თ.-ს დაუკავშირდა შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს" დირექტორი და მათ შორის შედგა რამდენიმე სატელეფონო კომუნიკაცია, (შპს „ჰ. ო. ჰ. ო.თს" მიერ გაგზავნილი შეტყობინებები - ს.ფ.34) მათ შორის, ა. კ.-მ ადვოკატს გაუგზავნა სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ მოწმობა ელ.ფოსტის მეშვეობით (ს.ფ.39-40), უშუალოდ შეხვდა ადვოკატს მის ოფისში, ადვოკატმა 2014 წლის 24 მარტს ელ.ფოსტის მეშვეობით ა. კ.-ს გაუგზავნა ინფორმაცია მის მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელების შემთხვევაში, ჰონორარის ოდენობის თაობაზე (ს.ფ.7). მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის მიხედვით, გ. თ.-სა და ა. კ.-ს შორის ჩამოყალიბდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რის შედეგადაც, ადვოკატმა მიიღო კომპანიის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაცია, კერძოდ, მისი სასაქონლო ნიშნების მესამე პირების მიერ უკანონოდ გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 1.11).

5.10 ადვოკატი არ იზიარებს საჩივარში წარმოდგენილ პოზიციას და განმარტავს, რომ მას არ გაუწევია ა. კ.-სთვის სამართლებრივი კონსულტაცია, მათ შორის არ მიუღია კომპანიის საქმესთან დაკავშირებით, ისეთი სახის ინფორმაცია, რისი გამოყენების საფრთხეც არსებობს მის მიერ „ს. ს.

ლ.-ისთვის“ საადვოკატო მომსახურების განხორციელების შემთხვევაში. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ა. კ.-სთან არცერთ შეხვედრას არ ჰქონია სამართლებრივი კონსულტაციისა და რჩევის მიცემის ხასიათი, მან საჩივრის ავტორისაგან მხოლოდ ის ინფორმაცია მოისმინა, რაც საჯაროა და ყველას მიუწვდება ხელი. საჩივრის ავტორს მის მიერ გაგზავნილ ფინანსურ შეთავაზებაზე თანხმობა არ განუხორციელებია, რის გამოც მასთან საუბარი არასოდეს აღუქვამს, როგორც პოტენციურ კლიენტთან საუბარი.

5.11 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაცია არ ნიშნავს აპრიორი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოქმნას, რადგანაც, ამ დროს მნიშვნელოვანია საუბრის თემა და ის ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს ამ საუბრისას. საჩივარში ზოგადად არის მითითებული, რომ ადვოკატმა გ. თ.-მ საჩივრის ავტორისგან შეიტყო მისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენების თაობაზე, თუმცა ა. კ.-ს კონკრეტულად არ ახსოვს რა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდა ადვოკატ გ. თ.-ს, მათ შორის შეთანხმდნენ, თუ არა საქმესთან დაკავშირებით კონკრეტულად რა იურიდიული მოქმედებები უნდა განეხორციელებინა ადვოკატს.

5.12 ინტერესთა კონფლიქტის შექმნის შესაფასებლად კოლეგიამ უნდა იმსჯელოს საჩივრის ავტორმა და ადვოკატმა რაზე ისაუბრეს, რა ინფორმაცია მიიღო ადვოკატმა. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებები, რითიც იარსებებდა დასაბუთებული ვარაუდი, იმისა, რომ ადვოკატ გ. თ.-ის მიერ „ს. ს. ლ.-ისთვის“ საადვოკატო მომსახურების განხორციელებით, საფრთხე ექმნება საჩივრის ავტორის ინტერესებს.

5.13 მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ ადვოკატმა მიიღო რაიმე ისეთი სახის ინფორმაცია საჩივრის ავტორისგან, რომლის გამოყენებასაც მის საწინააღმდეგოდ შეძლებდა. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის ალბათობას.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №164/18 ადვოკატ გ. თ.-ის მიმართ ...././, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/